<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნიკოლოზ ლანდიას ქუჩისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედების დროს დაღუპული კაპრალის, ვახტანგ გზირიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ნიკოლოზ ლანდიას ქუჩას მიენიჭოს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედების დროს დაღუპული კაპრალის, ვახტანგ გზირიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


ვახტანგ გზირიშვილის ქ.
01.19.39.015.020
01.19.39.015.003
01.19.39.016.398
01.19.39.016.004
01.19.39.017.006
01.19.39.017.008
01.19.39.017.012
01.19.39.022.006
01.19.39.022.008
01.19.39.016.003
01.19.39.016.005
01.19.39.016.011
01.19.39.023.002
01.19.39.023.018
01.19.39.023.007
01.19.39.023.001
01.19.39.023.019
01.19.39.023.044
01.19.39.023.089
01.19.39.023.003
UN1878747
UN1879231
01.00.177
01.00.240
01.00.713
01.00.324
01.01.772
01.01.834
01.01.607
01.02.282

ვახტანგ გზირიშვილი

(1988-2008)

კაპრალი ვახტანგ გზირიშვილი 2007 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ШМ ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონში მეტყვიამფრქვევად მსახურობდა. 20 წლის ქართველი სამხედრო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში, სოფელ ტბეთთან საბრძოლო ოპერაციის შესრულებისას, ცხინვალის რეგიონიდან დაჭრილი სამხედროების სამშვიდობოზე გადმოყვანისას, რუსული ავიაციის დაბომბვის შედეგად მძიმედ დაიჭრა და მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

ვახტანგ გზირიშვილის ხსოვნის პატივსაცემად ქალაქ რუსთავში, 173-ე საჯარო სკოლას, სადაც ის სწავლობდა, ვახტანგ გზირიშვილის სახელი მიენიჭა. ვახტანგ გზირიშვილ დაჯილდოებულია მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“.გარდაცვალების შემდეგ კაპრალს,ვახტანგ გორგასლის Ш ხარისხის ორდენი მიენიჭა.